ს ს ი პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

# ექსპერტიზის დასკვნა



WWW.EXPERTIZA.GOV.GE

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

5005394520

№ 5005394520
15/09/2020 წ.

საქართველოს პროკურატურის თბილისის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროს გამომძიებელს ქალბატონ თეა აფთარაშვილს

ქალბატონო თეა,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N13/01-48450 მომართვის (ბიუროს 2020 წლის 21 აგვისტოს რეგისტრაციის N1005485320) საფუძველზე, გიგზავნით სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის N005544420 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 10 ფურცლად;

ნივთმტკიცება 4 ფუთა

პატივისცემით,

გიორგი მურვანიძე
ბიუროს უფროსის მოადგილე

5005394520

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ, ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი ______________

თარიღი 15. 03 [illegible] (ხელმოწერა) ბ.ა.

NATIONAL FORENSICS BUREAU

005544420

ექსპერტის დასკვნა № 005544420

## გაფრთხილება

დეპარტამენტების უფროსების მიერ განგვემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებულები ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

## ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: სატრანსპორტო ტექნიკურ–ტრასოლოგიური ექსპერტიზა

**დამნიშნავი:**

სტრუქტურა: საქართველოს პროკურატურა

ქვესტრუქტურა: თბილისის პროკურატურა

დასახელება: საგამოძიებო სამმართველო

თანამდებობა: უფროსი გამომძიებელი

სახელი და გვარი: თეა აფთარაშვილი

საფუძველი: მომართვა

სისხლის სამართლის საქმის ნომერი: 036190720002

**შემსრულებელი ექსპერტები:**

ბაჩუკი ჩხარტიშვილი / კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური, რადიაციული და სახანძრო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 1 წლის სტაჟით.

დავით გველესიანი / კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური, რადიაციული და სახანძრო ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი, სპეციალობით მუშაობის 17 წლის სტაჟით.

დავით სხირტლაძე / კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური, რადიაციული და სახანძრო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 10 წლის სტაჟით.

## ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

1. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი, ავტომობილის მიერ დატოვებული საბურავის ორი ურთიერთპარალელური კვალი, ტექნიკური თვალსაზრისით, დატოვებულია თუ არა „HYUNDAI ACCENT"-ის მარკის ავტომობილის (სახელმწიფო ნომრით UU-448-XX) მიერ?

2. შემთხვევის ადგილიდან ამოღებული წინა საბურავის მიერ, მიწის ნიადაგზე - ტვიფარზე გამოსახული ნახატის კონფიგურაცია, შესაბამისობაში მოდის თუ არა ავტომობილ „HYUNDAI ACCENT"-ის (სახელმწიფო ნომრით UU-448-XX) წინა მარცხენა საბურავის სარბენი ბილიკის ნახატის კონფიგურაციასთან?

3. გამოსაკვლევად წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით, გთხოვთ განსაზღვროთ, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი, ავტომობილის მიერ დატოვებული საბურავის ორი ურთიერთპარალელური კვალი, ტექნიკური თვალსაზრისით, დატოვებულია მძღოლის მიერ ავტომობილის ექსპლუატაციის - გადაადგილების პირობებში, თუ ავტომობილის ბუქსირებით ან გათრევის შედეგად?

შემოსვლის თარიღი: 21/08/2020 წ

გასვლის თარიღი: 15/09/2020 წ

## დასკვნა

1. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ორი ურთიერთპარალელური საბურავის კვალი, ტექნიკური თვალსაზრისით, დატოვებულია გამოსაკვლევად წარმოდგენილი ავტომობილის „HYUNDAI ACCENT" UU-448-XX-ის მიერ.

2. მოცემულ კონკრეტულ პირობებში, გამოსაკვლევად წარმოდგენილი ავტომობილის წინა მარცხენა საბურავის სარბენი ბილიკის ნახატის კონფიგურაცია მთლიანად შესაბამისობაში მოდის ექსპერტიზაზე წარმოდგენილ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ნიადაგის ზედაპირზე-ტვიფარზე არსებულ ნახატის კონფიგურაციასთან, როგორც ვიზუალური, ასევე - ტექნიკური თვალსაზრისით. შესაბამისად, შემთხვევის ადგილზე მიწის ნიადაგზე აღმოჩენილი კვალი თავისი ფორმით, ხასიათით და კონფიგურაციით, ტექნიკური თვალსაზრისით, დატოვებულია გამოსაკვლევად წარმოდგენილი ავტომობილ „HYUNDAI ACCENT" UU-448-XX-ის წინა მარცხენა საბურავის მიერ.

3. მოცემულ კონკრეტულ პირობებში, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, ავტომობილის გადაადგილება მომხდარია მძღოლის მიერ ავტომობილის ექსპლუატაციის პირობებში. ამდენად, ავტომობილის გარეშე ძალით, ბუქსირებით ან გათრევით გადაადგილება, მოცემულ კონკრეტულ პირობებში, გამორიცხულია.

ბაჩუკი ჩხარტიშვილი

დავით გველესიანი

დავით სხირტლაძე

## გამოკვლევა

ნივთმტკიცებები, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, წარმოდგენილია შეფუთული და დალუქული სახით, ისინი მოთავსებულია საქართველოს შ.ს.ს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს და სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ნივთმტკიცებებისთვის განკუთვნილ პოლიეთილენის პარკებში, რომელთა მთლიანობაც დარღვეული არ არის. გამოსაკვლევად წარმოდგენილი ნივთმტკიცებების გახსნა და შემდგომი დათვალიერება განხორციელდა კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის ლაბორატორიაში, ექსპერტების: დ. გველესიანის, ბ. ჩხარტიშვილის, დ. სხირტლაძის მონაწილეობით და თ. ბაჩალიაშვილის ოჯახის ინტერესების დამცველი ადვოკატის მ. რამიშვილის თანდასწრებით.

ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნივთმტკიცების პოლიეთილენის პარკის (ლუქის მთლიანობა დარღვეული არ არის), ნომრით № FCI522955-ის დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ პოლიეთილენის პარკის წინა მხარეს იკითხება შემდეგი ინფორმაცია: „ს.ს.ს N: 036190720002, თარიღი: 22.07.2020, ობიექტი: საბურავის კვალის ტვიფარი, გამომძიებელი: მ. გურჩინი გაურკვეველი ხელმოწერა, პროკურორი გ. სახიაშვილი" გაურკვეველი ხელმოწერა, „ექსპერტი: ნ. ლეჟავა" გაურკვეველი ხელმოწერა, „გულბანი" გაურკვეველი ხელმოწერა, „ლ. ჟვანია" გაურკვეველი ხელმოწერა, „ფ. დევნოზაშვილი" გაურკვეველი ხელმოწერა, „მ. მალასიძე" გაურკვეველი ხელმოწერა, „მ. გოგოლაძე" გაურკვეველი ხელმოწერა, „შენიშვნა: თეთრიწყაროს რ-ნი სოფ. მაწევანი მიმდ. ტერ. თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ადვოკატი მ. რამიშვილი" გაურკვეველი ხელმოწერა. ნივთმტკიცების პარკის უკანა ნაწილზე დამაგრებულია გაუმჭვირვალე პოლიეთილენის პარკი, რომელშიც მოთავსებულია თეთრი ფერის კონვერტი (დალუქულ მდგომარეობაში). თეთრი ფერის კონვერტის წინა მხარეს იკითხება შემდეგი ინფორმაცია: „ს.ს. N: 036190720002, შემთხვევის ადგილზე გადაღებული ფოტოები", გაურკვეველი ხელმოწერა. თეთრი ფერის კონვერტს უკანა მხარეს გრძივად დაკრული აქვს სპეციალური წითელი ფერის მწებავი ლუქი წარწერით: „საქმე, ს.ს. N: 036190720002 საქართველოს პროკურატურა, POG1903Z0074, შემთხვევის ადგილის ფოტოები, „96" ფოტო."

გაუმჭვირვალე პოლიეთილენის პარკის (№FCI522955) გახსნისას აღმოჩნდა, რომ მასში მოთავსებულია თეთრი ფერის მუყაოს ყუთი, რომლის ზედაპირზე შეინიშნება ნიადაგის კვალი. მუყაოს ყუთს, დაახლოებით შუა ნაწილზე, დატანილი აქვს სპეციალური მწებავი ლუქი, რომლის მთლიანობა დარღვეული არ არის. ყუთის დაახლოებით შუა ნაწილზე მოთავსებულია

საგანი, რომელიც დამაგრებულია პოლიმერული მასალისაგან დამზადებული შავი ფერის კბილებიანი დამჭერით. კბილებიანი დამჭერის გაჭრის შემდგომ აღმოჩნდა, რომ ყუთში მოთავსებულია თეთრი ფერის, დაახლოებით 17 სმ. სიგანის თაბაშირისმაგვარი მასა, მყარ მდგომარეობაში. აღნიშნული საგნის გამოკვლევის მიზნით მოხდა მისი გადმობრუნება, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ თაბაშირისმაგვარი საგნის თითქმის მთლიანი ზედაპირი დაფარულია ნიადაგით, თუმცა მიუხედავად ამისა, თაბაშირის შუა ნაწილზე მაინც შეიმჩნევა საბურავის სარბენი ბილიკის დაშრევების კვალი. დაშრევებული კვალის უკეთ გამოკვლევის მიზნით, მოხდა თაბაშირისმაგვარი საგნიდან ზედმეტი ნიადაგის ფენის გასუფთავება, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ ტვიფარზე გამოსახულია საბურავის სარბენი ბილიკის სამი სწორხაზოვანი დანაშრევი კვალი. აღნიშნული კვლების გაზომვის შედეგად დადგინდა, რომ მარჯვნივ და მარცხნივ არსებული სწორი კვლები ერთმანეთის მსგავსია/ტოლია და მათი სიგანე შეადგენს დაახლოებით 20 მმ-ს, ხოლო მესამე ხაზის სიგანე (რომელიც მოქცეულია დაახლოებით 20 მმ სიგანის ხაზებს შორის) შეადგენს დაახლოებით 16 მმ-ს.

თეთრი ფერის პოლიეთილენის პარკის დალუქული სეებ-ის სპეციალური, წითელი ფერის მწებავი ლუქით, გახსნის შედეგად დადგინდა, რომ მასში მოთავსებულია ავტომობილის ერთი ერთეული დისკი და საბურავი. დისკს აღენიშნება ხანგრძლივი ექსპლუატაციის შედეგად განვითარებული ცვეთის კვლები საღებავის აშრევების და განაკაწრების სახით. დისკი არის 8 (რვა) ქიმიანი, ვერცხლისფერი შეფერილობის. ხანგრძლივი ექსპლუატაციისათვის დამახასიათებელი ცვეთის კვლები აღენიშნება ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილ „HANKOOK VENTUS PRIME"-ის მარკის, 195/50/16R ზომის საბურავს. საბურავის სარბენი ბილიკი გაცვეთილია, რაც მკვეთრად გამოხატულია სარბენი ბილიკის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებში. საბურავის სარბენი ბილიკის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ მის შუა ნაწილზე არის სამი ერთმანეთის პარალელური სწორხაზოვანი ხაზი, რომელთაგან მარჯვენა და მარცხენა ზოლის/ხაზის სიგანე ერთი და იმავე ზომისაა, დაახლოებით 20 მმ-ის, ხოლო ზემოხსენებულ ზოლებს შორის არსებული ზოლის სიგანე დაახლოებით 16 მმ-ის ტოლია. ხოლო ზოლებს შორის არსებული ღარების სიგანე დაახლოებით 8-მმ. საბურავის სარბენი ბილიკის ნახატის კონფიგურაცია მთლიანად შესაბამისობაში მოდის ექსპერტიზაზე წარმოდგენილ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ნიადაგის ზედაპირზე-ტვიფარზე არსებულ ნახატის კონფიგურაციასთან, როგორც ვიზუალური, ასევე ტექნიკური თვალსაზრისით, რაც, ცალსახად, მიუთითებს, რომ შემთხვევის ადგილზე, მიწის ნიადაგზე, აღმოჩენილი კვალი თავისი ფორმით, ხასიათით და კონფიგურაციით, ტექნიკური თვალსაზრისით, დატოვებულია გამოსაკვლევად წარმოდგენილი ავტომობილის წინა მარცხენა საბურავის მიერ.

როგორც შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმიდან ირკვევა, „შემთხვევის ადგილი მდებარეობს მარნეული-თეთრიწყაროს საავტომობილო გზაზე, სოფ. მაწევანის გადასახვევიდან თეთრიწყაროს მიმართულებით, დაახლოებით 400 მეტრში, გზიდან მარჯვნივ და წარმოადგენს სოფელ მაწევანის მიმდებარე მინდორს ალაგ-ალაგ ჯაგით დაფარულს. თ/წყაროს მიმართულებით, გზიდან მარჯვნივ, პირდაპირი კვეთით, 126 მეტრში, ჯაგნარებს შორის, თავით თ/წყაროს მიმართულებით გაჩერებულია რუხი ფერის „ჰიუნდაი აქცენტის" მარკის სახ. N: UU-448-XX, ავტომანქანა - დახურულია კარებები.

მანქანის წინა და უკანა საბურავებს შორის გარეთა პერიმეტრის მანძილი შეადგენს 1.68 მეტრს. ა/მანქანის უკან არსებული ა/მანქანის საბურავების კვალის გარეთა პერიმეტრის მანძილი შეადგენს 1.68 მეტრს. ა/ მანქანის საბურავების კვალი უკანა მიმართულებით (მარნეულის მიმართულებით) მინდორში ვიზუალურად ჩანს 200 მეტრის მანძილზე ირიბად საავტომობილო გზის მიმართულებით არ მისული გზამდე, მერე კი არ აღინიშნება, რადგან იკარგება ბალახებში.

შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ა/ მანქანის წინა მარცხენა საბურავის კვალის ტვიფარი FCI522955."

როგორც შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმიდან და ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ფოტოსურათებიდან ირკვევა, შემთხვევაში მონაწილე ავტომობილმა, შემთხვევის ადგილზე დატოვა ორი ურთიერთპარალელური კვალი. „შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ავტომობილ „HYUNDAI ACCENT"-ის წინა და უკანა მარცხენა და მარჯვენა საბურავების გარეთა კიდეებს შორის არსებული მანძილი შეადგენს დაახლოებით 1,68 მეტრს." მოცემული მანძილი მთლიანად შესაბამისობაში მოდის ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილ ავტომობილ „HYUNDAI ACCENT"-ის მარცხენა და მარჯვენა საბურავების გარეთა კიდეებს შორის არსებულ მანძილთან - 1,68 მეტრთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ შემთხვევის ადგილზე ავტომობილის წინა მარცხენა საბურავიდან ამოღებული ტვიფარის კონფიგურაცია შესაბამისობაში მოდის გამოსაკვლევად წარმოდგენილი ავტომობილის წინა მარცხენა საბურავის სარბენი ბილიკის ნახატის კონფიგურაციასთან და ავტომობილის მარცხენა და მარჯვენა თვლების გარე კიდეებს შორის მანძილი შესაბამისობაში მოდიან შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ კვლების გარე კიდეებს შორის არსებულ მანძილთან, მივდივართ დასკვნამდე, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ორი ურთიერთპარალელური საბურავის კვალი, ტექნიკური თვალსაზრისით, დატოვებულია გამოსაკვლევად წარმოდგენილ ავტომობილ „HYUNDAI ACCENT" UU-448-XX-ის მიერ.

როგორც შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმიდან და ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ფოტოსურათებიდან ირკვევა, შემთხვევის ადგილზე, გარდა ავტომობილ „HYUNDAI ACCENT" UU-448-XX-ის მიერ დატოვებული ორი ურთიერთპარალელური კვლებისა, სხვა ავტომობილის მიერ დატოვებული კვლები აღმოჩენილი არ ყოფილა. ცხადია, რომ თუ

შემთხვევაში მონაწილე ავტომობილის საბოლოო გაჩერების ადგილამდე ბუქსირებით ან გათრევით გადაყვანას ექნებოდა ადგილი, მაბუქსირებელი სატრანსპორტო საშუალება აუცილებლად დატოვებდა საბურავების კვლებს და ნაცვლად ორი ურთიერთპარალელური კვალისა, გვექნებოდა ოთხი საბურავის კვალი. გარდა ამისა, ავტომობილის ოთხივე საბურავზე შესაძლებელია აღმოჩენილიყო საბურავის სარბენ ბილიკზე თრევისათვის დამახასიათებელი კვლები, რასაც ფაქტობრივად არ ჰქონია ადგილი. საბუქსირე კავის ჩამაგრების ადგილის ვიზუალური დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ საბუქსირე კავის ჩამაგრების ადგილიში (ხრახნში) აღინიშნება მტვერის დაშრევების კვალი. აღნიშნული კვალი, პრაქტიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია, წარმოიშვას მხოლოდ საბუქსირე კავის დიდი ხნის გამოუყენებლობის პირობებში ისე, როგორც ჩვენს შემთხვევაში. ამდენად, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილია მხოლოდ ავტომობილ „HYUNDAI ACCENT" UU-448-XX-ის მიერ დატოვებული, ორი ურთიერთპარალელური საბურავის კვლები და საბუქსირე კავის ჩამაგრების ადგილზე ახლო წარსულში კავის ჩამაგრებისათვის დამახასიათებელი ნიშნები არ აღინიშნება, ცალსახად, შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ კონკრეტულ პირობებში, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, ავტომობილის გადაადგილება მომხდარია მძღოლის მიერ ავტომობილის ექსპლუატაციის პირობებში. ამდენად, ავტომობილის გარეშე ძალით, ბუქსირებით ან გათრევით გადაადგილება, მოცემულ კონკრეტულ პირობებში გამორიცხულია.

ბაჩუკი ჩხარტიშვილი

დავით გველესიანი

დავით სხირტლაძე

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: დავით გველესიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ლევან სიმონიშვილი

005544420



## ფოტოილუსტრაცია




ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8



ფოტო 9



ფოტო 10



ფოტო 11



ფოტო 12

005544420





ფოტო 13



ფოტო 14



ფოტო 15



ფოტო 16



ფოტო 17



ფოტო 18



ფოტო 19



ფოტო 20



ფოტო 21



ფოტო 22



ფოტო 23



ფოტო 24


ფოტო 25


ფოტო 26


ფოტო 27


ფოტო 28



ფოტო 29



ფოტო 30



ფოტო 31



ფოტო 32



ფოტო 33



ფოტო 34



ფოტო 35



ფოტო 36

დოკუმენტის ნომერი: 005544420

დოკუმენტის გასვლის თარიღი და დრო: 17/09/2020 10:00

**თბილისი**

## დოკუმენტის გასვლის ბარათი

სსიპ ლევან სამხარაული სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროდან გაცემულ იქნა **005544420 დასკვნა სისხლის_სამართლის N036190720002 საქმეზე.**

დოკუმენტის წამღები: **გუჯა კვარაცხელია, პირადი ნომერი: 51001009999, ტელ. ნომერი: 599081591**

გ. ბ.

დოკუმენტის რეგისტრაციისას მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე რეგისტრაციის დასრულების შემდეგ მიიღებთ უფასო SMS შეტყობინებას, რომელშიც მითითებული იქნება დოკუმენტის რეგისტრაციის თარიღი და ნომერი. ასევე ამავე ნომერზე მიიღებთ შეტყობინებას დოკუმენტის წარმოების შესახებ.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით ჩვენს ცხელ ხაზს ტელეფონის ნომერზე: **(+995 32) 225 84 84**.

სსიპ ლევან სამხარაული სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს თანამშრომელთა მხრიდან ნებისმიერი უკანონო ქმედების ჩადენის შემთხვევაში დაუკავშირდით ბიუროს შიდა აუდიტისა და ინსპექტირების დეპარტამენტს: ტელეფონი: **(+995) 577 25 84 84** ელ. ფოსტა: **audit@expertiza.gov.ge**

## სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პარტნიორი ორგანიზაციები:

### ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამა (INL Program):

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო წლების მანძილზე აქტიურად თანამშრომლობს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდაცვით პროგრამასთან (INL Program).

INL- ის დახმარებით რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ბიუროს ცენტრალურ ოფისს, სრულად აღიჭურვა ბიუროს დნმ ლაბორატორია და სხვადასხვა ლაბორატორიებისათვის შეძენილ იქნა საჭირო ახალი აპარატურა. INL –ის ორგანიზებით მუდმივად ხდება ბიუროს ექსპერტების დატრენინგება ექსპერტიზის თანამედროვე მეთოდების შესწავლის მიზნით.

INL-ი ასევე ბიუროს აქტიურად უწევს კონსულტაციას ხარისხის მართვის პროცედურების შემუშავებაში, რაც ხელს შეუწყობს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ISO:17025 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების დანერგვას.

### სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელი (ENFSI):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ლაბორატორიები გაწევრიანებული არიან სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (ENFSI) სამუშაო ჯგუფებში:

- დნმ-ის სამუშაო ჯგუფი (DNA Working Group)
- ნარკოტიკების სამუშაო ჯგუფი (Drugs Working Group)
- მინისა და ლაქ-საღებავების სამუშაო ჯგუფი (Paint and Glass Working Group)

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გაწევრიანებული ლაბორატორიები აქტიურად მონაწილეობენ ENFSI–ის სამუშაო ჯგუფების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამუშაო შეხვედრებზე და ლაბორატორიების საკვალიფიკაციო ტესტირებაში.

### პოლანდიური საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია - ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“:

„გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ ფონდის დახმარებით დაპროექტდა და აღიჭურვა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის ახალი შენობა.

ასევე ფონდის დახმარებით ბიუროს ექსპერტთათვის პერიოდულად ტარდება სასემინარო სწავლებები სასამართლო ფსიქიატრიის აქტუალური საკითხების სფეროში.

### თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭო (Adli Tip Kurumu):

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, მიმდინარეობს სამეცნიერო თანამშრომლობა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს შორის, რომლის მიზანია განავითაროს კავშირები სასამართლო ექსპერტიზის სფეროში, განახორციელოს ინფორმაციის, იდეებისა და ცოდნის გაცვლა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს ლაბორატორიებს შორის.

### სახელმწიფო ექსპერტიზის ბიურო - ლატვია (State Forensic Science Bureau):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თანამშრომლობს ლატვიის სახელმწიფო ექსპერტიზის ბიუროსთან მინის, ლაქ-საღებავებისა და ბოჭკოების ექსპერტიზის მიმართულებით. თანამშრომლობა ითვალისწინებს კვლევის თანამედროვე მეთოდებზე ინფორმაციისა და ლიტერატურის გაზიარებას და სამეცნიერო გაცვლითი პროგრამების ორგანიზებას.

### ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (IAEA):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თანამშრომლობს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან, რომელიც უზრუნველყოფს ბიუროს ექსპერტების გადამზადებას გარემოს რადიაციული მონიტორინგის საკითხებში. სწავლება მიმდინარეობს შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.